ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №172

ქ. ბათუმი

25 ივლისი, 2017 წელი

ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი"/„ბსუ") წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ჯემალ ანანიძის სახით და მეორე მხრივ შპს „არტიფექსი" (შემდგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის ლერი ვაჭარაძის სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (სატენდერო განცხადების **№SPA170002482**) ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, ასევე, ხელშეკრულების ერთი მხარის მიერ გაგზავნილი წერილობითი შეტყობინება, რომელიც ცვლის მხარეთა შორის ადრე შეთანხმებულ და წერილობითი სახით ხელმოწერილი დოკუმენტის პირობებს და რომელზეც წერილობითი თანხმობა აქვს გამოთქმული ხელშეკრულების მეორე მხარეს.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5. „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე. ვადების გამოთვლა მოხდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი

2.1. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი - სველი წერტილების რეაბილიტაცია (CPV) კოდი - 45400000;

2.2. შესყიდვის ობიექტის აღწერა, ოდენობა, ერთეულის ფასი, მოცემულია დანართში (ფასების ცხრილი), რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი.

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 119998,54 (ას ცხრამეტი ათას ცხრაას ოთხმოცდათვრამეტი ლარი და 54 თეთრი) ლარს;

3.2. ხელშეკრულების ღირებულება შეიძლება დაზუსტდეს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ღირებულების შესაბამისად. მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელ თანხაზე.

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებსა და გადასახდელებს.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

4. ანგარიშსწორების ფორმა და პირობები

4.1. მიმწოდებლის მიერ საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში შესაძლებელია მოხდეს წინასწარი ანგარიშსწორება სახელშეკრულებო ფასის 50 %-ის ოდენობით. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა არანაკლებ 45 დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების დასრულების ვადას

4.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში;

4.3. ანგარიშსწორება შესაძლებელია მოხდეს ეტაპობრივად შემდეგი წესით: შემსყიდველი უფლებამოსილია საბოლოო ანგარიშსწორებამდე, ყოველ შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ (მიმწოდებლის მიერ ასეთის მოთხოვნის შემთხვევაში) გადასახდელი თანხიდან შეაჩეროს ანგარიშსწორება შესრულებული სამუშაოების ღირებულების მაქსიმუმ 10 %-ის ოდენობით. შუალედური ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა შორის შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საგადასახადო დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) დღის განმავლობაში;

4.4. საავანსო ანგარიშსწორების გამოყენების შემთხვევაში 4.3. ქვეპუნქტით გათვალისწინებული შუალედური ანგარიშსწორება მოხდება ავანსად გაცემული თანხის გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი თანხის მიხედვით;

4.5. საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ (აკრედიტებული პირის მიერ გაცემულ დასკვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი) გაცემული დასკვნის გათვალისწინებით შედგენილი საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტისა და საგადასახადო დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) დღის განმავლობაში;

5. ხელშეკრულების ინსპექტირების (კონტროლის) პირობები

5.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს, წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მიღება-ჩაბარების მიზნით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას და ხელშეკრულების პირობების შესრულების სხვაგვარ ზედამხედველობას განახორციელებს ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელი პირი <u>ბსუ-ს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი **მერაბ ხალვაში**</u>. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე და ნებისმიერ დროს ამ პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მიანიჭოს შემსყიდველის სხვა თანამშრომელს ან/და შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე ნებისმიერ სხვა პირს. შემსყიდველის ასეთი გადაწყვეტილება არ საჭიროებს მიმწოდებლის არც წინასწარ და არც შემდგომ თანხმობას და იგი ძალაში შედის შესაბამისი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ან შესაბამისი ხელშეკრულებით დადგენილი წესით;

5.2. ხელშეკრულების შესრულების შემსყიდველის მხრიდან კონტროლის, შესრულებული სამუშაოს წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მიღება-ჩაბარების მიზნით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და ხელშეკრულების ინსპექტირების განხორციელების უფლებამოსილების 5.1. პუნქტის შესაბამისად შესაბამის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ან შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირზე მინიჭების შემდეგ, ასეთი უფლებამოსილების მინიჭებამდე შესრულებული სამუშაოს კონტროლისა და ხელშეკრულების ინსპექტირების განხორციელების შედეგები და გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

5.3. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ფინანსური და მატერიალურ–ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

6. შესრულებულ სამუშაოთა მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესრულებული სამუშაოს მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელის მოწერით.

6.2. შესრულებული სამუშაოების მოცულობა, რაოდენობა და ღირებულება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის შედგენამდე დასტურდება სსიპ ,,ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ (აკრედიტებული პირის მიერ გაცემულ დასკვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი) გაცემული დასკვნით, რომლის ხარჯებსაც გაიღებს მიმწოდებელი.

7. სამუშაოების შესრულების ადგილი ვადები და პირობები

7.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები უნდა შესრულდეს ხელშეკრულების დადებიდან 2017 წლის 23 ოქტომბრის ჩათვლით.

7.2. სამუშაოების შესრულების ადგილია საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (მის.: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქუჩა №35).

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს შეამოწმოს სამუშაოების მიმდინარეობის შესაბამისობა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:

8.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების შესაბამისად.

8.2.2. უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოების მიღება ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობების გათვალისწინებით.

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების გათვალისწინებით.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

8.4.1. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8.4.2. შეასრულოს ხელშეკრულების პირობები სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში.

8.4.3. გაითვალისწინოს ტექნიკური ზედამხედველის მიერ მითითებული ინსტრუქციები და შენიშვნები.

8.4.4. საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

შემსყიდველი

მიმწოდებელი

9.1. მიმწოდებელს 7.1. პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,02 %-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 1 (ერთი) %-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

9.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10 (ათი) %-ის ოდენობით.

9.4. 9.1 პუნქტით განსაზღვრული პირგასამტეხლოს გამოთვლისას არ გამოიანგარიშება 7.1. პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში შესრულებულ სამუშაოებზე ექსპერტიზის ჩატარებისათვის მიმართვიდან, ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენამდე პერიოდი, მაგრამ არა უგვიანეს 45 (ორმოცდახუთი) დღისა.

9.5. მიმწოდებელი ვალდებულია დარიცხული პირგასამტეხლოს თანხა პირგასამტეხლოს დარიცხვის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 15 (თხუთმეტი) დღის ვადაში ჩარიცხოს შეტყობინებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე და წარუდგინოს შემსყიდველს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი (საგადახდო დავალების დედანი ან ბანკის მიერ დამოწმებული ასლი).

9.6. მიმწოდებელს საგარანტიო ვადის განმავლობაში ხელშეკრულების 14.6. პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში დაერიცხება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 20 (ოცი) ლარის ოდენობით.

9.7. პირგასამტეხლოს გამოთვლისას არ გამოიანგარიშება 14.6. პუნქტით გათვალისწინებული ხარვეზის გამოსასწორებლად მიცემული ვადა.

9.8. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

10.2. ხელშეკრულება მოქმედებს 2017 წლის 10 დეკემბრამდე.

10.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მოთხოვნის უფლება ძალაში რჩება ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგაც.

10.4. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.5. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.6. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვეტოს ხელშეკრულება, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და პირობებით.

10.7. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთ-შეთანხმების საფუძველზე.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. შეტყობინების წესი

13.1. შეტყობინება ხელმოწერილი უნდა იყოს გამგზავნი მხარის მიერ ან მისი სახელით, გაეგზავნოს მხარეს, რომელიც არის მისი ადრესატი და მიეწოდოს ამ მხარეს მისამართზე, რომელიც მითითებულია 13.2 პუნქტში, ან უკანასკნელ მისამართზე, რომელიც მხარემ შეტყობინების მეშვეობით განსაზღვრა შეტყობინებებისთვის წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად. მხარისთვის გაგზავნილი ნებისმიერი შეტყობინება უნდა იყოს ქართულ ენაზე ან თან ახლავდეს ქართული თარგმანი.

13.2. შეტყობინების მისამართი და შეტყობინების დრო:

შეტყობინება უნდა გადაეცეს ხელიდან ხელში, გაიგზავნოს ფაქსით ან ფოსტის მეშვეობით, და წინამდებარე ხელშეკრულების და ყველა სხვა მიზნისთვის იგი ჩაითვლება მიწოდებულად (ჩაბარებულად):

(ა) ხელიდან ხელში გადაცემისას: როდესაც ის პირადად მიეწოდება მხარეს ქვემოთ მოცემულ მისამართზე (მათ შორის ელექტრონულ მისამართზე) ან უკანასკნელ მისამართზე, რომელიც მხარემ შეტყობინების მეშვეობით განსაზღვრა შეტყობინებებისთვის წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად.

„შემსყიდველი“ მის: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35 E-Mail: shesyidvebi@bsu.edu.ge ტელ: 042 227 87 62	„მიმწოდებელი“ მის. ქ.თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, კახეთის გზატკეცილი, მე-13 კმ კორპ №1 E-Mail: artifexi@yahoo.com ტელ: 597731221

(ბ) კურიერული ფოსტა: თუ გაიგზავნა ფოსტის მეშვეობით 13.2. პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მისამართზე, რაც დასტურდება კურიერის მიწოდების დასტურის ჩანაწერებში.

– შეტყობინებები, რომლებიც მიღებულია უქმე დღეს ან სამუშაო დღის 17.00 საათის შემდეგ, ჩაითვლებიან მიღებულად შემდეგ სამუშაო დღეს.

14. სხვა პირობები

14.1. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები განახორციელოს ხელშეკრულების პირობათა შესაბამისად, აგრეთვე მოქმედი

შემსყიდველი

მიმწოდებელი

კანონმდებლობით ასეთი სამუშაოებისათვის დადგენილი ნორმებისა და სტანდარტების სრული დაცვით.

14.2. შემსყიდველი იტოვებს უფლებას გაზარდოს ან შეამციროს შესასრულებელი სამუშაოების მოცულობა. ასეთი ცვლილებების თაობაზე მხარეები შეთანხმდებიან დამატებით.

14.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები სრულდება მიმწოდებლის მასალით, რომელიც იქნება მაღალი ხარისხის და დააკმაყოფილებს თანამედროვე ტექნოლოგიების მოთხოვნებს.

14.4. შემსყიდველი ვალდებულია სამუშაოს დასრულებისთანავე გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო მოწყობილობა დანადგარებისაგან და სხვადასხვა ნარჩენებისაგან. სამუშაოების პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციისა და მტვრის გავლენა.

14.5. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმ-დებლობის შესაბამისად.

14.6. საგარანტიო ვადის განმავლობაში შემსყიდველის მიერ მიცემულ გონივრულ ვადაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით გამოასწოროს გამოვლენილი ხარვეზი ან სრული მოცულობით აანაზღაუროს როგორც შესაბამისი ხარჯები, ასევე ხარვეზის შედეგად შემსყიდველისათვის მიყენებული ზიანი.

14.7. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.8. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.9. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაც აქვთ თანაბარი იურიდიული ძალა და ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მის.: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35
ს.ნ. 245 428 158
ბ/კ: TRESGE22
მიმღები ბანკი - სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ჯემალ ანანიძე

შემსყიდველი

„მიმწოდებელი“

შ.პ.ს. „არტიფექსი“
მის. ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, კახეთის გზატკეცილი, მე-13 კმ კორპ №1
ს.ნ.406069613
ს.ს. „საქართველოს ბანკი“
ბ/კ: BAGAGE22
ანგ. №GE47BG0000 0007 0957 3200

შ.პ.ს. „არტიფექსი“-ს დირექტორი

ლერი ვაჭარაძე

მიმწოდებელი

დანართი №1

ფასების ცხრილი

ლოკალურ რესურსული ხარჯთაღრიცხვა №1
ს.ს.ი.პ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კორპუსის მეხუთე-მეოთხე სართულის სველი წერტილების რეაბილიტაცია

№	სამუშაოების დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	2	3	4	5	6
1	სველ წერტილებში არსებული კაფელის დემონტაჟი	კვ/მ	240,00	0,60	144,00
2	სველ წერტილებში არსებული მეტლახის დემონტაჟი	კვ/მ	34,20	0,60	20,52
3	სველ წერტილებში არსებული პლასტიკატის ჭერის დემონტაჟი	კვ/მ	34,20	0,50	17,10
4	სველ წერტილებში არსებული , ტიხრების ნაწილობრივ დემონტაჟი	კვ/მ	26,10	4,00	104,40
5	სველ წერტილებში არსებული , უნიტაზების და ხელსაბანების დემონტაჟი	ცალი	14,00	4,00	56,00
6	მეორე კორპუსის სველ წერტილში იატაკის ამაღლება 15 სმ სიმაღლეზე და ყველა სველ წერტილში იატაკზე ცემენტის მოჭიმის მოწყობა 3.5 სმ სისქის	კვ/მ	35,00	8,00	280,00
7	სველ წერტილებში კედლების დამუშავება ქსაიპექსის ხსნარით (1.0 მ სიმაღლემდე)	კვ/მ	69,40	4,00	277,60
8	პლასტმასის საკანალიზაციო მილის გაყვანა-ф=100მმ (გარე და შიდა ქსელი)	გრძ/მ	20,00	7,00	140,00
9	პლასტმასის საკანალიზაციო მილის გაყვანა-ф=50მმ	გრძ/მ	75,00	4,00	300,00
10	წყალგაყვანილობის მილების დაყენება გარე დიამეტრით 25მმ-მდე	გრძ/მ	50,00	2,50	125,00
11	მილსადენების ჩამკეტი არმატურების დაყენება	ცალი	14,00	6,00	84,00
12	სენსორული შემრევების დაყენება	ცალი	6,00	125,00	750,00
13	მილსადენის ჰიდრავლიკური გამოცდა	გრძ/მ	50,00	0,50	25,00
14	ხელსაბანების და სარეცხი ბაკნების დაყენება	ცალი	5,00	85,00	425,00
15	უნიტაზების დაყენება	ცალი	2,00	120,00	240,00
16	თურქული ჯამების დაყენება ჩასამონტაჟებელი ავზით	ცალი	12,00	78,00	936,00
17	ტრაპების დაყენება	ცალი	2,00	12,00	24,00
18	სხვადასხვა ზომის კარების მოწყობა	კვ/მ	3,24	125,00	405,00
19	იზოალუმინის ტიხრების მოწყობა H=2.0მ კარით	კვ/მ	45,60	210,00	9576,00

შემსყიდველი

შემწოდებელი

20	მეთლახის იატაკის მოწყობა	კვ/მ	34,4	25,00	860,00
21	კედლებზე კაფელის მოწყობა (დეკორით)	კვ/მ	240,00	25,00	6000,00
22	ჭერზე პლასტიკატის პროფილების აკვრა ლითონის პროფილებზე	კვ/მ	34,400	15,00	516,00
23	საშენებლო ნაგვის გატანა 20 კმ მანძილზე	ტონა	7,000	10,00	70,00
	ჯამი	ლარი			21375,62
	ზედნადები ხარჯები	ლარი	6%		1282,54
	ჯამი	ლარი			22658,16
	გეგმიური დაგროვება	ლარი	4%		906,33
	ჯამი	ლარი			**23564,48**

ლოკალურ რესურსული ხარჯთაღრიცხვა №2

ს.ს.ი.პ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კორპუსის მესამე, მეორე და პირველი სართულის სველი წერტილების რეაბილიტაცია

№	სამუშაოების დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	2	3	4	5	6
1	სველ წერტილებში არსებული კაფელის დემონტაჟი	კვ/მ	360,00	0,60	216,00
2	სველ წერტილებში არსებული მეტლახის დემონტაჟი	კვ/მ	51,30	0,60	30,78
3	სველ წერტილებში არსებული პლასტიკატის ჭერის დემონტაჟი	კვ/მ	51,30	0,50	25,65
4	სველ წერტილებში არსებული , ტიხრების ნაწილობრივ დემონტაჟი	კვ/მ	39,15	4,00	156,60
5	სველ წერტილებში არსებული , უნიტაზების და ხელსაბანების დემონტაჟი	ცალი	21,00	4,00	84,00
6	მეორე კორპუსის სველ წერტილში იატაკის ამაღლება 15 სმ სიმაღლეზე და ყველა სველ წერტილში იატაკზე ცემენტის მოჭიმის მოწყობა 3.5 სმ სისქის	კვ/მ	52,50	8,00	420,00
7	სველ წერტილებში კედლების დამუშავება ქსაიპექსის ხსნარით (1.0 მ სიმაღლემდე)	კვ/მ	104,10	4,00	416,40
8	პლასტმასის საკანალიზაციო მილის გაყვანა-ф=100მმ (გარე და შიდა ქსელი)	გრძ/მ	40,00	7,00	280,00
9	პლასტმასის საკანალიზაციო მილის გაყვანა-ф=50მმ	გრძ/მ	120,00	4,00	480,00
10	წყალგაყვანილობის მილების დაყენება გარე დიამეტრით 25მმ-მდე	გრძ/მ	80,00	2,50	200,00
11	მილსადენების ჩამკეტი არმატურების დაყენება	ცალი	21,00	6,00	126,00
12	სენსორული შემრევების დაყენება	ცალი	9,00	125,00	1125,00
13	მილსადენის ჰიდრავლიკური გამოცდა	გრძ/მ	80,00	0,50	40,00
14	სარეცხი ბაკნების დაყენება	ცალი	3,00	85,00	255,00

შემსყიდველი

მიმწოდებელი

15	უნიტაზების დაყენება	ცალი	2,00	120,00	240,00
16	თურქული ჯამების დაყენება ჩასამონტაჟებელი ავზით	ცალი	18,00	78,00	1404,00
17	ტრაპების დაყენება	ცალი	3,00	12,00	36,00
18	სხვადასხვა ზომის კარების მოწყობა	კვ/მ	4,86	125,00	607,50
19	იზოალუმინის ტიხრების მოწყობა H=2.0მ კარით	კვ/მ	68,40	210,00	14364,00
20	მეთლახის იატაკის მოწყობა	კვ/მ	51,6	25,00	1290,00
21	კედლებზე კაფელის მოწყობა (დეკორით)	კვ/მ	360,00	25,00	9000,00
22	ჭერზე პლასტიკატის პროფილების აკვრა ლითონის პროფილებზე	კვ/მ	51,600	15,00	774,00
23	საშენებლო ნაგვის გატანა 20 კმ მანძილზე	ტონა	9,000	10,00	90,00
	ჯამი	ლარი			31660,93
	ზედნადები ხარჯები	ლარი	6%		1899,66
	ჯამი	ლარი			33560,59
	გეგმიური დაგროვება	ლარი	4%		1342,42
	ჯამი	ლარი			**34903,01**

ლოკალურ რესურსული ხარჯთაღრიცხვა№3

ს.ს.ი.პ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის სველი წერტილების რეაბილიტაცია

№	სამუშაოების დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	2	3	4	5	6
1	სველ წერტილებში არსებული კაფელის დემონტაჟი	კვ/მ	361,60	0,60	216,96
2	სველ წერტილებში არსებული მეტლახის დემონტაჟი	კვ/მ	74,60	0,60	44,76
3	სველ წერტილებში არსებული პლასტიკატის ჭერის დემონტაჟი	კვ/მ	74,60	0,50	37,30
4	სველ წერტილებში არსებული , ტიხრების ნაწილობრივ დემონტაჟი	კვ/მ	42,00	4,00	168,00
5	სველ წერტილებში არსებული , უნიტაზების და ხელსაბანების დემონტაჟი	ცალი	24,00	4,00	96,00
6	მესამე კატეგორიის გრუნტის დამუშავება კანალიზაიის მილის მოსაწყობად	კუბ/მ	7,00	9,60	67,20
7	ყველა სველ წერტილში იატაკზე ცემენტის მოჭიმის მოწყობა 3.5 სმ სისქის	კვ/მ	74,60	8,00	596,80
8	სველ წერტილებში კედლების დამუშავება ქსაიპექსის ხსნარით (1.0 მ სიმაღლემდე)	კვ/მ	137,40	4,00	549,60
9	პლასტმასის საკანალიზაციო მილის გაყვანა-ф=100მმ (გარე და შიდა ქსელი)	გრძ/მ	80,00	7,00	560,00

შემსყიდველი

მიმწოდებელი

10	პლასტმასის საკანალიზაციო მილის გაყვანა-ф=50მმ	გრძ/მ	80,00	4,00	320,00
11	წყალგაყვანილობის მილების დაყენება გარე დიამეტრით 25მმ-მდე	გრძ/მ	200,00	2,50	500,00
12	მილსადენების ჩამკეტი არმატურების დაყენება	ცალი	28,00	6,00	168,00
13	სენსორული შემრევების დაყენება	ცალი	10,00	125,00	1250,00
14	მილსადენის ჰიდრავლიკური გამოცდა	გრძ/მ	200,00	0,50	100,00
15	ხელსაბანების და სარეცხი ბაკნების დაყენება	ცალი	10,00	85,00	850,00
16	თურქული ჯამების დაყენება პლასტმასის ავზით	ცალი	4,00	78,00	312,00
17	თურქული ჯამების დაყენება ჩასამონტაჟებელი ავზით	ცალი	10,00	78,00	780,00
18	ტრაპების დაყენება	ცალი	4,00	12,00	48,00
19	სხვადასხვა ზომის კარების მოწყობა	კვ/მ	30,30	125,00	3787,50
20	იზოალუმინის ტიხრების მოწყობა H=2.0მ კარით	კვ/მ	47,20	210,00	9912,00
21	მეთლახის იატაკის მოწყობა	კვ/მ	74,6	25,00	1865,00
22	კედლებზე კაფელის მოწყობა (დეკორით)	კვ/მ	361,60	25,00	9040,00
23	ჭერზე პლასტიკატის პროფილების აკვრა ლითონის პროფილებზე	კვ/მ	74,600	15,00	1119,00
24	საშენებლო ნაგვის გატანა 20 კმ მანძილზე	ტონა	7,000	10,00	70,00
	ჯამი	ლარი			32458,12
	ზედნადები ხარჯები	ლარი	6%		1947,49
	ჯამი	ლარი			34405,61
	გეგმიური დაგროვება	ლარი	4%		1376,22
	ჯამი	ლარი			**35781,83**

ლოკალურ რესურსული ხარჯთაღრიცხვა №4

მეორე კორპუსის მეხუთე-მეოთხე სართულის სველი წერტილების ელექტრო სამონტაჟო სამუშაოები

№	სამუშაოების დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	2	3	4	5	6
1	ჩაფლული ტიპის ჩამრთველების დაყენება	ცალი	2,00	6,00	12,00
2	ჩაფლული ტიპის შტეფსელები დაყენება	ცალი	10,00	6,00	60,00
3	სანათურის დაყენება დიოდური ნათურით	ცალი	6,00	12,00	72,00
4	ელექტრო სადენების გაყვანა დახურული ელ გაყვანილობისთვის	გრძ/მ	20,00	1,60	32,00
5	წყლის ელექტრო გამაცხელებლების მონტაჟი (150 ლიტრი მოცულობის)	ცალი	1,00	230,00	230,00
6	ელექტრო გამწოვების მონტაჟი გაყვანილობით	ცალი	14,00	44,00	616,00

შემსყიდველი

მიმწოდებელი

	ჯამი	ლარი			1022,00
	შრომითი რესურსი	ლარი			250,00
	ზედნადები ხარჯები შრომითი რესურსიდან	ლარი	50%		125,00
	ჯამი	ლარი			1147,00
	გეგმიური დაგროვება	ლარი	4%		45,88
	ჯამი	ლარი			**1192,88**

ლოკალურ რესურსული ხარჯთაღრიცხვა №5

მეორე კორპუსის მესამე, მეორე და პირველი სართულის სველი წერტილების ელექტრო სამონტაჟო სამუშაოები

№	სამუშაოების დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	2	3	4	5	6
1	ჩაფლული ტიპის ჩამრთველების დაყენება	ცალი	3,00	6,00	18,00
2	ჩაფლული ტიპის შტეფსელები დაყენება	ცალი	15,00	6,00	90,00
3	სანათურის დაყენება დიოდური ნათურით	ცალი	9,00	12,00	108,00
4	ელექტრო სადენების გაყვანა დახურული ელ გაყვანილობისთვის	გრძ/მ	30,00	1,60	48,00
5	წყლის ელექტრო გამაცხელებლების მონტაჟი (150 ლიტრი მოცულობის)	ცალი	2,00	230,00	460,00
6	ელექტრო გამწოვების მონტაჟი გაყვანილობით	ცალი	21,00	44,00	924,00
	ჯამი	ლარი			1648,00
	შრომითი რესურსი	ლარი			240,00
	ზედნადები ხარჯები შრომითი რესურსიდან	ლარი	50%		120,00
	ჯამი	ლარი			1768,00
	გეგმიური დაგროვება	ლარი	4%		70,72
	ჯამი	ლარი			**1838,72**

ლოკალურ რესურსული ხარჯთაღრიცხვა№6

პირველი კორპუსის სველი წერტილების ელექტრო სამონტაჟო სამუშაოები

№	სამუშაოების დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	2	3	4	5	6
1	ჩაფლული ტიპის ჩამრთველების დაყენება	ცალი	8,00	6,00	48,00
2	ჩაფლული ტიპის შტეფსელები დაყენება	ცალი	20,00	6,00	120,00
3	სანათურის დაყენება დიოდური ნათურით	ცალი	16,00	12,00	192,00
4	ელექტრო სადენების გაყვანა დახურული ელ გაყვანილობისთვის	გრძ/მ	40,00	1,60	64,00
5	წყლის ელექტრო გამაცხელებლების მონტაჟი (150 ლიტრი მოცულობის)	ცალი	1,00	230,00	230,00

შემსყიდველი

მიმწოდებელი

6	ელექტრო გამწოვების მონტაჟი გაყვანილობით	ცალი	14,00	44,00	616,00
	ჯამი	ლარი			1270,00
	შრომითი რესურსი	ლარი			250,00
	ზედნადები ხარჯები შრომითი რესურსიდან	ლარი	50%		125,00
	ჯამი	ლარი			1395,00
	გეგმიური დაგროვება	ლარი	4%		55,80
	ჯამი	ლარი			**1450,80**
	№№1,2,3,4,5,6 ხარჯთაღრიცხვების ჯამი	ლარი			**98731,72**
	რეზერვი გაუთვალისწინებელ სამუშაოებზე	ლარი	3%		2961,95
	ჯამი	ლარი			101693,68
	დ.ღ.გ.	ლარი	18%		18304,86
	სულ ჯამი	ლარი			**119998,54**

შემსყიდველი

მიმწოდებელი

დანართი №2

ინფორმაცია საგარანტიო ვადის შესახებ

ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში მიმწოდებელი შესრულებელი სამუშაოს ხარისხზე იძლევა 3 (სამი) წლიან გარანტიას.

საგარანტიო ვადის ათვლა იწყება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან.

საგარანტიო ვადის განმავლობაში, მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტის/ნაკლის აღმოფხვრა, შეკეთება ან შეცვლა.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

ინფორმაცია
ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

25 ივლისი, 2017 წელი

ქ. ბათუმი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ სსიპ ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი"-ს მიერ სველი წერტილების რეაბილიტაციის სახელმწიფო შესყიდვის (სატენდერო განცხადება **SPA170002482**) განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩემი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

მატერიალური რესურსების მართვის
დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი

მ. ხალვაში